



ISSN 1987-5789
ESSN 2587- 5426

ეკონომიკა და ბიზნესი
ECONOMICS AND BUSINESS

2

ტომი XI VOLUME

2019

<i>ერეკლე პირველი, თეონა შულღიაშვილი</i> - საქართველოში მიმდინარე ბულატერიისა და აუდიტის რეფორმა: თეორიული და აღწერილობითი ანალიზი	163
<i>ტეტიანა სობოლევა, იულია ლაზარენკო</i> - ინტელექტუალური საკუთრების მენეჯმენტი ღია ინოვაციებზე გადასვლისას	185
<i>ინეზა ვანაძე</i> - სოფლის ტურისტული ბიზნესისადმი ადგილობრივი საზოგადოების დამოკიდებულების გამოკვლევა (რაჭის რეგიონის მაგალითზე).....	196
<i>გიგა კიკორია, სიმე გაჩეჩილაძე, სალომე პატარიძე</i> - დისტანციური განათლება და ელექტრონული სწავლება საქართველოში	209

სიახლე ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში

<i>ვლადიმერ პაპავა, ვახტანგ ჭარაია</i> - ინფლაცია და მისი მოდიფიკაციები (ტერმინოლოგიური ასპექტის შესახებ)	221
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

<i>იოსებ არჩვაძე</i> - ფუნდამენტური ნაშრომი გლობალურ პროცესზე.....	229
--	-----

- Khaduri N., 2005. Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Post-Communist Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4, pp. 20–24.
- NDI, 2017. NDI Poll: Economy Still Top Concern for Georgians; Support for NATO and EU Stable." *National Democratic Institute*, **January 17**, <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-economy-still-top-concern-georgians-support-nato-and-eu-stable>
- Papava V., 1996. The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2, pp. 251–267.
- Papava V., 2011. On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgias Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization*, Vol. 5, Issue 3–4, pp. 20–30.
- Papava V., Charaia V., 2017. O neobkhozimosti modifikatsii pokazatelija inflyatsii dlia otноситel'no bednykh stran mira i opyt Gruzii [On the Necessity of Modification of the Inflation Index for the Relatively Poor Worlds and Georgia's Experience]. *Ekonomisti*, № 3, pp. 6–19. (In Russian.)
- Suryanarayana M. H., 2008. Agflation and the PDS: Some Issues. *Indira Gandhi Institute of Development Research WP-2008-009*, April, <http://www.igidr.ac.in/pdf/publication/WP-2008-009.pdf>
- Wang J.-Y., 1999. The Georgian Hyperinflation and Stabilization. *IMF Working Paper WP99/65*, May 1, <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/30/The-Georgian-Hyperinflation-and-Stabilization-3020>
- Wellisz S., 1999. Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies. *Russian & East European Finance and Trade*, Vol. 35, No. 1, pp. 6–31.

ინფლაცია და მისი მოდიფიკაციები (ტერმინოლოგიური ასპექტის შესახებ)

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
vladimer.papava@tsu.ge

ვახტანგ ჭარაია

პიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
vakhocharaia@gmail.com

ინფლაციის ტრადიციული მაჩვენებელი, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი განვითარებად ქვეყნებში. ზოგიერთი სასაქონლო ჯგუფი არ ასახავს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის პრობლემებს. აგრარული ინფლაცია, ანუ აგფლაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში სულ

უფრო და უფრო პოპულარული ხდება. სტატიაში შემოთავაზებულია მანფლაციის სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ფასების ცვლილებას მედიკამენტებზე, კომუნალურ მომსახურებასა და საკვებ პროდუქტებზე. იმ ქვეყნებისთვის, სადაც იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, აშკარაა, რომ აუცილებელია ფასების ცვლილება გაანგარიშებულ იქნეს იმპორტული საქონლისა და მომსახურების მიმართ (ინფლაცია).

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, აგფლაცია, მანფლაცია, იმფლაცია

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე ჩნდება ახალი ტერმინები. ეს პროცესი არის მეცნიერების ამ დარგის გამდიდრების, ეკონომიკური მოვლენების ახლებური გააზრების შედეგი და კვლევის გაღრმავების შესაძლებლობა. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა, რომელთან მიმართებაშიც იკვეთება ეკონომიკური პროცესების ახლებური გააზრება, ინფლაციაა.

როგორც ცნობილია, ინფლაციას, როგორც სამომხმარებლო კალათის ფასების დონის ცვლილების ამსახველ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზისათვის, ისე მისი პროგნოზირებისათვის. პოსტკომუნისტურ საქართველოს აქვს ის ცუდი გამოცდილება, როცა მას მოუწია ჰიპერინფლაციურ სპირალში მოხვედრა (Gurgenidze, Lobzhanidze, Onoprishvili, 1994; Khaduri, 2005), რაც კომპლექსური ეკონომიკური რეფორმის გატარების გზით იქნა დაძლეული (Kakulia 2008; Papava 1996, 2011; Wang 1999; Wellisz 1999).

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინფლაციის მონიტორინგს 1992 წლიდან ექვს ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ზუგდიდი) ახორციელებს. მოცულია საცალო ვაჭრობის და მომსახურების 1700 ობიექტზე მეტი. სამომხმარებლო კალათა, საიდანაც ინფლაციის საშუალო დონე გამოიანგარიშება, აერთიანებს 12 სასაქონლო ჯგუფს შესაბამისი ხვედრითი წონების გათვალისწინებით. ამ ჯგუფებს შორისაა: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (30,1%), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (6,4%), ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (3,4%), საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (8,4%), ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება (6,6%), ჯანმრთელობის დაცვა (8,4%), ტრანსპორტი (13,1%), კავშირგაბმულობა (3,7%), დასვენება, გართობა და კულტურა (6,4%), განათლება (4,7%), სასტუმროები, კაფეები და რესტორნები (4,1%), სხვა საქონელი და მომსახურება (4,9%) (საქსტატი, 2019).

მართალია, აღნიშნული კალათა საკმაოდ დაბალანსებულია და მოიცავს ადამიანისთვის საჭირო ყველა პროდუქტს, თუმცა, ამგვარი სასაქონლო ჯგუფების უმრავლესობა რეალურად არ ასახავს საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერი განვითარებადი, განსაკუთრებით კი ლარიზი ქვეყნების მოსახლე-

ობის რეალურ პრობლემებს. კერძოდ, საქართველოსთვის, სადაც მოსახლეობის 30%-სათვის სიღარიბე უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს (NDI, 2017), პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ძვირადღირებულ ალკოჰოლურ სასმელებზე, ავეჯზე, აგრეთვე დასვენებასა და გართობაზე, სასტუმროების, კაფეების და რესტორნების მომსახურებაზე ფასების დინამიკას. მაშასადამე, სამომხმარებლო კალათის ყოვლისმომცველობა იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც სიღარიბე მნიშვნელოვანი პრობლემაა, არის ამ კალათის სუსტი მხარე, რადგანაც ადეკვატურად ვერ ასახავს მათი ფაქტობრივი ხარჯების სტრუქტურას.

აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა ინფლაციის მაჩვენებლის ისეთი მოდიფიკაციების შემუშავება, რაც უფრო ადეკვატურად ასახავს შედარებით ღარიბი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროდუქტებზე ფასების დონის დინამიკას.

მოცემული პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადაიდგა აგრარული ინფლაციის (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების საშუალო დონის ზრდის), ანუ **აგფლაციის (Agflation)** მაჩვენებლის შემოღებით. ტერმინი – აგფლაცია შედარებით ახალია და მისი შემოღება 2006-2007 წლებში ხილზე, კვერცხზე, მარცვლეულ კულტურებსა და სხვა საკვებ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდებოდა (Charaia, Papava, 2018; Chorafas, 2011). აგფლაციის გაზომვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი, შედარებით ღარიბი ქვეყნებისთვის, რომელთათვისაც დამახასიათებელი კვების ძირითადი პროდუქტების გაძვირება, რისი თვალსაჩინო მაგალითიც ინდოეთია (Suryanarayana, 2008).

გასათვალისწინებელია, რომ აგფლაცია არამარტო განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, რასაც ევროკავშირის გამოცდილებაც ადასტურებს (IMF, 2008).

საკითხის შემდგომმა კვლევამ აჩვენა, რომ ინფლაციასთან ერთად მარტო აგფლაციის მაჩვენებლის გამოყენება სულაც არ არის საკმარისი, საჭიროა სხვა მაჩვენებლებიც (პაპავა, ჭარაია, 2017). კერძოდ, შედარებით ღარიბ ქვეყნებში მოსახლეობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არამარტო და არა იმდენად იმას, თუ ფასების საშუალო დონე როგორია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმას, თუ როგორ იცვლება ფასები საშუალოდ სურსათთან ერთად, მკურნალობასა და კომუნალურ მომსახურებაზე (ძირითადად წყალი, ელექტროენერგია, გაზი და სხვ.). აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოვიღეთ **მანფლაციის (Munflation)** მაჩვენებელი. ამ სიტყვის პირველი სამი ასოთი იწყება ინგლისურ ენაზე სიტყვები – მკურნალობა (Medication), კომუნალური მომსახურება (Utilities) და კვება (Nutrition) (პაპავა, ჭარაია, 2017; Charaia, Papava, 2017a; Папавა, Чарая, 2017).

მანფლაციის გაანგარიშებისათვის საჭიროა ინფლაციის სამომხმარებლო კალათიდან მკურნალობის, კომუნალური მომსახურების და საკვები პრო-

დუქტების შესაბამისი პარამეტრების გამოყოფა. უკანასკნელი კომპონენტი კი იმავდროულად გამოიყენება აფლაციის გასაანგარიშებლად.

იმ ქვეყნებისათვის კი, სადაც იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, აშკარად მიზანშეწონილია არამარტო ტრადიციული ინფლაციის მაჩვენებლის, არამედ იმპორტირებული საქონლისა და მომსახურებით შედგენილი სამომხმარებლო კალათის მიხედვითაც გათვლა. ეს მაჩვენებელი არის **იმფლაცია (Imflation)** და ეს სახელწოდება წარმოქმნილია ორი ტერმინის – „იმპორტის“ და „ინფლაციის“ გაერთიანებით (პაპავა, ჭარაია 2017; Charaia, Papava 2017a; Папавა, Чарая 2017).

ინფლაციის მოდიფიკაციით შექმნილი მაჩვენებლების გამოყენების არეალი კი საკმაოდ ვრცელია, რადგანაც ის იძლევა იმის საშუალებას, რომ უფრო მრავალფეროვანი გახდეს ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და პროგნოზირება. ასევე ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების მექანიზმის სრულყოფის საკითხი (Charaia, Papava 2017b).

ლიტერატურა:

- Charaia V. Papava V., 2018. Agflation and other modifications of inflation (the cases of Georgia and its neighboring countries). *Annals of Agrarian Science*, Vol. 16, No. 2, pp. 201–205, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1512188718300897?via%3Dihub>
- Charaia V., Papava V., 2017a. From Inflation to Imflation, Agflation and Munflation. *The Market Oracle*, April 6, <<http://www.marketoracle.co.uk/Article58686.html>
- Charaia V., Papava V., 2017b. The Role of Inflation and its Targeting for Low-Income Countries (Lessons from Post-Communist Georgia). *European Journal of Economic Studies*, Vol. 6, No. 2, pp. 96–103, <http://ejournal2.com/journals_n/1504096069.pdf
- Chorafas D. N., 2011. *Energy, Environment, Natural Resources and Business Competitiveness: The Fragility of Interdependence*. New York: Routledge, 386 p.
- Gurgenzidze L., Lobzhanidze M., Onoprishvili D., 1994. Georgia: From Planning to Hyperinflation. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 6, No. 2, pp. 259–289.
- IMF, 2008. “Agflation” in the New Member States—Some Stylized Facts. *International Monetary Fund*, <<https://www.imf.org/external/CEE/2008/120107.pdf>
- Kakulia M., 2008. Before and After the Introduction of the Lari: Georgian National Currency in Retrospect. In: E. M. Ismailov, ed. *Central Eurasia: National Currencies*. Stockholm: CA&CC Press, pp.176–187.
- Khaduri N., 2005. Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Post-Communist Georgia. *Problems of Economic Transition*, Vol. 48, No. 4, pp. 20–24.
- NDI, 2017. NDI Poll: Economy Still Top Concern for Georgians; Support for NATO and EU Stable.” *National Democratic Institute*, January 17, <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-economy-still-top-concern-georgians-support-nato-and-eu-stable>

- Papava V., 1996. The Georgian Economy: From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'. *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2, pp. 251–267.
- Papava V., 2011. On the First-Generation Post-Communist Reforms of Georgia's Economy (A Retrospective Analysis). *The Caucasus & Globalization*, Vol. 5, Issue 3–4, pp. 20–30.
- Suryanarayana M. H., 2008. Agflation and the PDS: Some Issues. *Indira Gandhi Institute of Development Research WP-2008-009*, April, <http://www.igidr.ac.in/pdf/publication/WP-2008-009.pdf>
- Wang J.-Y., 1999. The Georgian Hyperinflation and Stabilization. *IMF Working Paper WP99/65*, May1. <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/30/The-Georgian-Hyperinflation-and-Stabilization-3020>
- Wellisz S., 1999. Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies. *Russian & East European Finance and Trade*, Vol. 35, No. 1, pp. 6–31.
- ПапаваВ., ЧараяВ., 2017.О необходимости модификации показателя инфляции для относительно бедных стран мира и опыт Грузии. *Ekonomisti*, № 3, С. 6–19.
- პაპავა ვ., ჭარაია ვ., 2017. ინფლაციის მაჩვენებლის მოდიფიკაციები და მათი საქართველოსთვის გამოყენების მიზანშეწონილობა. *GFSIS ექსპერტის აზრი*, No. 77, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/77-expert-opinion-geo.pdf>
- საქსტატი, 2019. ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/price/samomxmareblo%20kalatis%20metodologiis%20shesaxeb%202019.pdf